დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------



ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | კომიუტერი, 40 პროექტორი და 18 ე.წ. ტაბლეტი.<br><br>კომპიუტერები განთავსებულია კოსტავას 77ა-ში არსებულ საკლასო, დაცვისა და ადმინისტრაციის ოთახებში, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიებში. ალექსიძის ქუჩა 8-ში კი კომპიუტერების, დაცვისა და ბიბლიოთეკის ოთახებში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ყოველდღიური პრაქტიკაა.<br><br>სკოლას მიეწოდება ინტერნეტი. ორივე ფართზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით, ინტერნეტის მომსახურების თანხა იჯარის საფასურის შემადგენელი ნაწილია. ასევე იჯარითაა გადაცემული ვებ. გვერდის დომენი და ჰოსტინგი.<br><br>სკოლის ვებ. გვერდზე www.ugschool.edu.ge შესულ სტუმარს აქვს შესაძლებლობა: გაეცნოს დირექტორის მისალმებას, სკოლის მისიას, ისტორიას, ინფრასტრუქტურას, გუნდს, სტრუქტურას, მიღების წესს, წესდებას. მიიღოს ინფორმაცია საფეხურებად დაყოფილი სკოლის პროგრამის, სასკოლო ცხოვრების, კემბრიჯის საერთაშორისო ცენტრისა და სიახლეების შესახებ. დაათვალიეროს სკოლის ფოტო და ვიდეო გალერეა. ვებ. გვერდზევეა მოსწავლისთვის/მშობლისთვის განკუთვნილი ელექტრონული ჟურნალი. შესაძლებელია დაწესებულებასთან დაკონტაქტება და მისამართის დადგენა. აღნიშნული აღწერიდან გამომდინარე ვებ. გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კომპიუტერული ტექნიკის შეძენის ზედნადებები;<br>• 2015 წლის 01 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, შესული 2019 წლის 15 იანვრის ცვლილება, ინტერნეტის, დომენისა და ჰოსტინგის შესახებ;<br>• სკოლის ვებ გვერდი www.ugschool.edu.ge ;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• ვიზუალურ დათვალიერება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------

ბ.ა.

| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმების შინაარსი აღწერს უსაფრთხოების დაცვის შინაარსს. ორივე მისამართზე, ყველა სართულზე არის ცეცხლმაქრობები და მანიშნებლები. მუშაობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი;<br>• ცეცხმაქრობების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ორივე მისამართზე, ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. შენობებს აქვს საევაკუაციო გასასვლელები/კიბეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ორივე მისამართზეა მოწყობილი ექიმის ოთახი, რომლებშიც განთავსებულია ინვენტარი და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშუალებები. ორივე ფართს სხვადასხვა ბიბლიოთეკარი მოემსახურება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირობების დოკუმენტი;<br>• სამედიცინო საშუალებების შეძენის დოკუმენტები;<br>• ექიმებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც იკითხება წესრიგის დაცვის მოთხოვნის შინაარსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი;<br>• დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ორივე მისამართზე დამონტაჟებულია „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. 74 ვიდეო კამერიდან, კოსტავას ქუჩა 77ა-ს გარე პერიმეტრს აკონტროლებს 10, ხოლო ალექსიძის ქუჩა 8-ს - 8 ვიდეოკამერა. ორივე შენობის დერეფნებში დამონტაჟებულია კამერები. ვიზიტის პერიოდში ალექსიძის ქ. 8-ში, საკლასო ოთახებში დამონტაჟებული იყო ვიდეო-კამერები. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული კამერები არ იქნება გამოყენებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეძენის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო და დასვენების დროს შესახებ; დოკუმენტში აღწერილია: სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები; სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია; სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღების წესი; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მივლინების ადმინისტრირების წესი და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება; შრომითი ურთიერთობის შეჩერების და შეწყვეტის წესი; წახალისებისა და პასუხიმგებლობის სახე და გამოყენების წესი; ეთიკური ნორმები; დაწესებულების მასწავლებლის/პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო დებულება, რომელიც იძლევა ინფორმაციას სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შესახებ: კერძოდ, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დიკუმენტში აღწერილია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის პირობები; მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი; სწავლის საფასურის გადახდის წესი; მოსწავლის ქცევის წესები და პასუხისმგებლობები;<br><br>სკოლამ წარმოადგინა სკოლის მართვის დებულება, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, მართვის კოლეგიალური ორგანოები(აკადემიური საბჭო, პედაგოგიური საბჭო) და თითოეული მათგანის ფუნქცია-მოვალეობები.<br><br>სკოლას აქვს სანიტარული კვანძის დასუფთავების წესი, რომელშიც გაწერილია დასუფთავების პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;<br><br>სკოლაში უსაფრთხოებას და წესრიგს არეგულირებს დოკუმენტი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესახებ, რომელშიც აღწერილია: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები და პრევენციული ღონისძიებები, რაც თავის მხრივ გულისხმობს, მოსწავლეთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფას, მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას; ძალადობის რისკების შეფასებას სკოლაში; დოკუმენტში დეტალურად არის მოცემული რა ტიპის საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარება არის შესაძლებელი, ამასთანავე სკოლაში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით განსაზღვრულია .სკოლის დირექტორის და ადმინისტრაციის უფროსის უფლებები და ვალდებულებები; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები; სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ელექტრონული ბაზის წარმოების წესი და გამოვლენილი დარღვევების შეფასების მექანიზმები.<br><br>სკოლამ წარმოადგინა წესდება, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას სკოლის სკოლის იურიდიული სტატუსის შესახებ; საზოგადოების საწესდებო კაპიტალის, პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ; წილის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განკარგვის შესახებ; წესდების მიხედვით გაწერილია პარტნიორთა ფუნქცია-მოვალეობები; აღწერილია ამ საზოგადოების მართვის ორგანოები; როგორ ხდება საზოგადოებიდან გასვლა და კომპენსაცია.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსი შეესაბამება კანონმდებლობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის წესდება;<br>• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი;<br>• სანიტარული წესები და ჰიგიენა;<br>• სასწავლო დებულება;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• სკოლის მართვის დებულება. |
| შეფასება: | ☑ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება ეფუძნება SWAT ანალიზის გამოყენების პრაქტიკას.<br><br>გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში, რომელიც მოიცავს 2017-2023 წლებს, აქტივობები გაწერილია სასწავლო წლების მიხედვით და მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას: თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა თბილისსა და ბათუმში. მოსწავლეთათვის ჯანმრთელი გარემოს შექმნა გამწვანებული ბაღების, ხეების დარგვის, ვენტილაციის თანამედროვე სისტემების დამონტაჟების მეშვეობით. თბილისსა და ბათუმში 1000-მოსწავლიანი სკოლების ამუშავება. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა. ფილიალების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის შემუშავება. სკოლის ბაზაზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროფესიული სასწავლებლის განვითარება. მოსწავლეების მომზადება ვების, ბუღალტერიის, საექთნო, სტომატოლოგიურისა და სხვა სპეციალობების მიმართულებით.<br><br>ერთწლიან გეგმაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია წლის განმავლობაში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებასა და გაუმჯობესებაზე, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე, ახალი ვებ. გვერდის შექმნაზე და ა.შ.<br><br>დოკუმენტების აქტივობების შინაარსი ეხება, როგორც თბილისში, ასევე ბათუმში მიმდინარე სასწავლო პროცესსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☑ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც შედგება შემდეგი შინაარსისგან: დოკუმენტბრუნვა, შემოსულ და შიდა დოკუმენტების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობები, შემოსული დოკუმენტების მიღებისა და დამუშავების წესი, შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის და გაფორმების წესი, გასული დოკუმენტაციის მომზადების და რეგისტრაციის წესი, ნორმატიული აქტების პროექტებისა და სხვა დოკუმენტების მომზადების, გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი, დავალებათა გაფორმება, სხდომების და თათბირების ოქმების გაფორმება, ხელშეკრულებათა გაფორმება და რეგისტრაცია, მოქალაქეთა წერილების განხილვა და მიღების ორგანიზება, ინფორმაციის გაცემის უფლება, ბეჭდის და შტამპის გამოყენება, დაარქივება.<br><br>გამომდინარე იქიდან, რომ საქმიანობა ხორციელდება ორ ქალაქში, დოკუმენტის შინაარსი მოცავს ინსტრუქციებს ზოგადად შპს „იუჯი სკოლისთვის" და ბათუმში მიმდინარე საქმიანობისათვის. კონკრეტულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოებას ინდივიდუალური კოდი აქვს.<br><br>კოსტავას ქუჩა 77ა-ში ნანახი დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები დანომრილი, აკინძული და დამოწმებულია სკოლის დირექტორის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ინსტრუქცია;<br>• კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---------------------

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო პროცესის განხორცილებისათვის დაწესებულებას ჰყავს 68 პედაგოგი და 53 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, 2 IT მენეჯერი, ადმინისტრატორი, 2 ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, 2 ფსიქოლოგი, 27 დამრიგებელი (მათ შორის გახანგრძლიევბულის პედაგოგები), 2 ექიმი, წრის ხელმძღვანელები, მძღოლები და დაცვის 7 წევრი.<br><br>ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.<br><br>ვიზიტის განხორციელებისას (12 აგვისტო 2021წ.) მასწავლებელთა ნაწილს ხელშეკრულების ვადა აქვთ 2022 წლის 1 სექტემბრამდე, ნაწილს (32) აქვს უვადო, მაგრამ 12 პედაგოგთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 1 სექტემბრამდე. სკოლამ ახალი 2021-2022 სასწავლო წლისთვის გამოაცხადა კონკურსი და დაიმატა ახალი თანამშრომლები, მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ამასთანავე სკოლას ჰყავს რამდენიმე პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომლებმაც ჩააბარეს შესაბამისი გამოცდები და ელოდებიან შედეგებს. 2021 წლის 27 ივლისის საქართველოს მთავრობის #379 დადგენილების საფუძევლზე სკოლა მათთან აგრძელებს თანამშრომლობას.<br><br>ვიზიტის პერიოდში სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 68 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად ამუშავებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• 2021-2022 წლის საათობრივი ბადე;<br>• საშტატო განრიგი;<br>• სკოლის წარმომადგენლთან გასაუბრება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 68 |
| მოწვეული/მაძიებელი | 12 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 8 |
| უფროსი მასწავლებლი | 44 |
| წამყვანი მასწავლებლი | 4 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა ორი გარემოება: 1. სპორტის მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მქონე პირს საათობრივ ბადეში მინიჭებული ჰქონდა 15 საათი, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ამ შემთხვევაში საათებს სხვა პედაგოგზე გადანაწილებენ და ამით ეს დარღვევაა გამოსწორდებოდა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი შპს იუჯი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს წერილის მიხედვით სკოლამ აღნიშნული მასწავლებლის საათიბრივი დატვირთვა კანონმდებლობასთან მოიყვანა შესაბამისობაში - 6 საათი გადაეცა სხვა მასწავლებლებს და სპორტის მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეადგენს 9 საათს. 2 მოწვეული მასწავლებლის სტატუსით პედაგოგს საათობრივი ბადის მიხედვით ევალებოდა 24 საათის ჩატარება, თუმცა როგორც წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მასწავლებელს ჩაბარებული აქვს გამოცდა და 60 კრედიტიანი პროგრამა, რის საფუძველზეც სექტემბრისთვის აღნიშნულ პედაგოგს ექნება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ვიზიტის პერიოდში (12 აგვისტო 2021 წ) ამ პედაგოგს არ აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი.<br><br>მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.<br><br>მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>• საშტატო განრიგი;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი შპს იუჯი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს წერილი. |
| შეფასება: | ☑ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები;<br><br>შინაგანაწესი განსაზღვრავს ასევე სკოლის სადისციპლინო პოლიტიკას, დისციპლინარული დევნის და წახალისების ფორმებს. სკოლის დირექციას პედაგოგის წარმატებული საქმიანობისათვის შეუძლია: ა) ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;<br><br>შინაგანაწესში მოცემულია სამსახურიდან გათავისუფლების პირობები და დისციპლინარული გადაცდომების ჩამონათვალი. მუხლების პუნქტების შინაარსი არის როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი, რაც ხელს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უწყობს სისტემის გამჭვირვალობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• ხელშეკრულებები;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.<br><br>ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br><br>ყველას პირადი საქმე მოწესრიგებულია და თან ახლავს ავტობიოგრაფია (cv), პირადობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები, ცნობა ნასამართლეობის შესახებ;<br><br>ვიზიტის განხორციელებისას რამდენიმე პედაგოგთან (12) ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წლის 1 სექტემბრამდე. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიურების დროს განაცხადეს, რომ აღნიშნულ მასწავლებლებთან აგრძელებენ თანამშრომლობას 2021-2022 სასწავლო წლისთვისაც, შესაბამისად განაახლებენ ხელშეკრულების ვადებსაც, აღნიშნული ტექნიკური საკითხის მოსაგავრებლად მათ ითხოვეს გონივრული ვადა (არგუმენტირებული პოზიციის წარდგენამდე). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი შპს იუჯი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს წერილისა და მასზე თანდართული ხელშეკრულებების მიხედვით ზემოაღნიშნულ 12 პედაგოგთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულების ვადები გაგრძელებულია 2022 წლის 01 სექტემბრამდე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ორგანიზაციის წესდება;<br>• პირადი საქმეები;<br>• ინტერვიურება;<br>• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი შპს იუჯი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს წერილი. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას.<br>სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიზნები, შემადგენლობა და ამ ჯგუფის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელი იღებს განმავითარებელ შეფასებას.<br>გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია საქართველოს უნივერისიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დახვეწოს მასწავლებელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესების მექანიზმები, ამასთანავე დაწესებულება, როგორც კემბრიჯის რეგისტრირებული სკოლა, ახორციელებს ბრიტანული სასწავლო პროგრამის ინტეგრირებას. შესაბამისად, ამ კუთხით ხდება მასწავლებელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება და თავად სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით პედაგოგებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს/სემინარებს. (აზროვნების უნარები - სწავლების პროცესში მათი გამოყენების გზები; კრეატიულობის განვითარება და გამოყენება სწავლის პროცესში. ენობრივი კომპეტენციების განვითარება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწყებით და საბაზო საფეხურზე და სხვ.). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლების პირადი საქმეები;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მართვის დებულების თანახმად, თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების კულტურა. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.(მაგ: ვებგვერდზე) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი;<br>• სკოლის მართვის დებულება;<br>• სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☑ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 26.08.2021 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 34 (ოცდათოთხმეტი) ფურცელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------

ბ.ა.